## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-446

23/05/2019 ქ. თბილისი

**"ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, შპს "აისის" მდ. ფარავანზე და მის მარჯვენა შენაკად მდ. კორხზე, 9,5 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2 ჰესი), ქვესადგურისა და ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ"**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტისა და II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს, "ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, შპს "აისის" მდ. ფარავანზე და მის მარჯვენა შენაკად მდ. კორხზე, 9,5 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2 ჰესი), ქვესადგურისა და ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N46 (19.04.2019წ.);
2. შპს „აისმა" სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N46 (19.04.2019წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „აისს";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აისის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ახალქალქის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი